KA030198266944318

№ 01-5018/ს **16 / ნოემბერი / 2018 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ ზაზა ბოხუას

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის დროებით მოვალეობის
შემსრულებლის
თამარ ბასილიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო ზაზა,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26-27 ნოემბერს საფრანგეთში ქ. პარიზში ევროპის საბჭოს ორგანიზებით, ნდობის აღდგენის პროექტის ფარგლებში, ტარდება შეხვედრა ქ.თბილისის, ქ.სოხუმისა და ქ.გურჯაანის ექიმების მონაწილეობით, რომელიც მიეძღვნება ტუბერკულოზის მკურნალობის საკითხებს.

შეხვედრაში მონაწილეობის მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - ია ყამარაული, რომელიც მუშაობს ,,ტუბერკულოზის მართვის" სახელმწიფო პროგრამის შემუშავების და მიმდინარეობის კოორდინაციის საკითხებზე.

ვიზიტში მონაწილეობის ხარჯები (სასტუმრო, მგზავრობა, დღიური ნორმა) ანაზღაურდება ევროპის საბჭოს მიერ.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი ია ყამარაულისთვის მიმდინარე წლის 25 ნოემბრიდან 28 ნოემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
მოვალეობის შემსრულებელი

თამარ ბასილია